



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## პრაქტიკის ინსტრუქცია (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის)

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016 წ. - გადაწყვეტილება №3 (დანართი №2)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი  
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური

შეამოწმა: ხარისხის მთლიანი მართვის საბჭო

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R3I7G

ვერსია: 3.00

განახლების თარიღი:  
26/12/2022

დამტკიცების თარიღი:

შეუმოწმებელი ვერსია  შემოწმებული ვერსია

23/08/2016

იხსუს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს  
საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ  
დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

## შინაარსი

შეტანილი ცვლილებები .....	3
ცვლილებების ნუსხა .....	4
მუხლი 1. საკითხი და რეგულირების სფერო .....	5
მუხლი 2. პრაქტიკის პერიოდი .....	5
მუხლი 3. პრაქტიკის ადგილის განსაზღვრა .....	5
მუხლი 4. პრაქტიკის მემორანდუმის/ხელშეკრულების/კორესპონდენციის არსებითი პირობები	5
მუხლი 5. პრაქტიკის ხელმძღვანელობა.....	6
მუხლი 6. პრაქტიკის შეფასება .....	6
მუხლი 7. ძალაში შესვლა.....	7
მუხლი 8. შესრულებაზე ზედამხედველობა .....	7

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	09	22.08.2017
2.	აკადემიური საბჭო	03	08.02.2019
3.	აკადემიური საბჭო	01	03.02.2021
4.	მმართველი საბჭო	39	26.12.2022

თავდაპირველი რედაქცია: 23.08.2016- #3

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	22.08.2017	4	პრაქტიკის ხელმძღვანელი
02	08.02.2019	3	პრაქტიკის ადგილის განსაზღვრა
03	08.02.2019	4	პრაქტიკის მემორანდუმის/ხელშეკრულების/კორესპონდენციის არსებითი პირობები
04	08.02.2019	5	პრაქტიკის ხელმძღვანელობა
05	08.02.2019	6	პრაქტიკის შეფასება
06	03.02.2021	8	შესრულებაზე ზედამხედველობა
07	26.12.2022	3	პრაქტიკის ადგილის განსაზღვრა
08	26.12.2022	4	პრაქტიკის მემორანდუმის/ხელშეკრულების/კორესპონდენციის არსებითი პირობები
09	26.12.2022	5	პრაქტიკის ხელმძღვანელობა
10	26.12.2022	8	შესრულებაზე ზედამხედველობა

## მუხლი 1. საკითხი და რეგულირების სფერო

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის პროცესი და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

## მუხლი 2. პრაქტიკის პერიოდი

- 2.1. სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლა ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პერიოდში.

## მუხლი 3. პრაქტიკის ადგილის განსაზღვრა

- 3.1. პრაქტიკის განხორციელების ადგილებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 3.2. პრაქტიკის განხორციელების ადგილი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი კერძო და/ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებულ აქვს მემორანდუმი/ხელშეკრულება პრაქტიკის განხორციელების შესახებ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

- 3.3. პრაქტიკის ადგილი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული. ამ შემთხვევაში, სკოლის დეკანის მიერ შიდა კორესპონდენცია პრაქტიკის განხორციელების პროცესში თანამშრომლობის თხოვნის შესახებ ეგზავნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

## მუხლი 4. პრაქტიკის მემორანდუმის/ხელშეკრულების/კორესპონდენციის არსებითი პირობები

- 4.1. პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

- 4.2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებისას, სკოლის დეკანის მიერ გაგზავნილ შიდა კორესპონდენციას თან უნდა ერთვოდეს პრაქტიკის სილაბუსი. ასევე, კორესპონდენციაში ასახული უნდა იყოს პრაქტიკის განხორციელებისათვის

საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი (მათ შორის გასაგზავნი სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

## მუხლი 5. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

5.1. პრაქტიკის პროცესის ხელმძღვანელობას განახორციელებს პრაქტიკის ადგილზე შესაბამისი ერთეულ(ებ)ის უფროსი (პრაქტიკის ზედამხედველი) და უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის მიერ დანიშნული წარმომადგენელი (პრაქტიკის ხელმძღვანელი).

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

5.2. პრაქტიკის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი და ფლობდეს არა ნაკლებ მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

## მუხლი 6. პრაქტიკის შეფასება

6.1. პრაქტიკის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

6.2. პრაქტიკის კომპონენტის შუალედურ შეფასებას ახდენს პრაქტიკის ზედამხედველი. ამ მიზნით, პრაქტიკის დასრულებისას ავსებს პრაქტიკის ანგარიშს და გადასცემს პრაქტიკის ხელმძღვანელს.

6.3. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრაქტიკის ხელმძღვანელიც შესაძლებელია ჩართული იყოს შუალედური შეფასების პროცესში.

6.4. შუალედურ და საბოლოო შეფასებებში კომპონენტების გადანაწილება და შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

6.5. დასკვნითი შეფასების მიღება ხდება პრაქტიკის ანგარიშის დაცვის გზით პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ხელმძღვანელისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ისაგან შექმნილი კომისიის წინაშე. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, დასკვნითი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს განსხვავებული სახით, პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად.

---

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #3*

**მუხლი 7. ძალაში შესვლა**

- 7.1. წინამდებარე ინსტრუქცია ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

**მუხლი 8. შესრულებაზე ზედამხედველობა**

- 8.1. წინამდებარე დოკუმენტის შესრულებაზე პასუხისმგებელია პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #1*

*ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #39*

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

